კვირა, 29 აპრილი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 92

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ"

## „ისარი"-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ

„ისარი"-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ მაისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც სამ მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 3 მან. 50 კაპ. მეტი.

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მ. 60 კ. ტფილისს გარედ—5 მ. 30 კ., საზღვარ-გარედ—8 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75, ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

დავით გიორგის ძე თულაშვილი, დავით ეგნატეს ძე ძნელაძე მანანია დიმიტრის ასული ძნელაძისა შვილებითურთ სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ 1 მაისს, შუადღის 12 საათზე, დაბა მიხაილოვში, ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება წლის პანაშვიდი პირველის მეუღლის, მეორისა ქალის და უკანასკნელის დის

### ბარბარე დავითის ასული თულაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—65—1)

კვირას, 29 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვალების მე-15 დღეს, საკვირაო სკოლის მასწავლებელის

### ანნა მათეს ასულის ჩაჩიბაიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ გარდაცვალებულის მეგობართ და ნაცნობთ მე-2 ღედათა საკვირაო სკოლის მასწავლებელნი. (1—უ—1)

## კვირა-ცხოვლობის კვირაში
### მთავარ მაღაზიაში
# დორო პ. ხ. ქ ნ ოპისა

ყველა საქონელი დარჩენილი შარშანდელ სეზონიდან გაიყიდება ზევრად დაკლებულ ფასებად

### შემდეგ სპეციალურ განყოფილებაში:

საზაფხულო ფერადი ქსოვილი — შალის მატერიები

მაუდის საქონელი — მამაკაცის საცვალი და ნასკები

### ქალის საცვალი და ჩულქები

მებელის მატერია, პორტიერები და ტიული გარდინისა

(1—70—1)

## სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

განქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდენკო** — შინაგანი სნეულობანი. კვირას 3—4 ს.

**იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხ., პარასკ. და სამშ. და კვირას 2—3 ს.

**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.

**როზმაინსკი**—საბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.

**ასპისოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.

**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

**ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.

**ინაევი.** ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.

**თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.

**ზოცოვსკი** — შინაგანი წამლობა ზთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**მონსე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.

**ექიმი ქალი იოსელიანი:** — ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**გორობცოვა.**—მასაჟი, ყოველ დღე 11—5 ს.

**ნევზოროვა** —კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 1—3 ს.

**პივარსკი**, **ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—80)

ექიმი
### ვ. ხ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—$11^{1}/_{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—91)

მშობლები უდროოდ დაკარგულ **ანნა ჩაჩიბაიასი** უღრმეს მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც წერილით, დეპეშით თუ პირადის დასწრებით ანუგეშა და თანაუგრძნო მათ დიდ და უზომო მწუხარებაში. (1—უ—1)

კბილის ექიმი
### ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, ახალი მდივნისა. (35)

ექიმი
### ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—39)

ექიმი
### ა. ნ. დიასამიძე

**განაზა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
### მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—99)

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

გ-ნთ ვაჭართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს ცენზის ქონება, მაგრამ რაკი მათზე ირიცხება ნედოიმკები დასაფასებელ გადასახადის, ისინი გამორიცხული არიან უძრავ ქონების მესაკუთრეთა სიიდან, ხოლო რადგან ასეთი პირები იმავე დროს შეცდომით შეტანილნი იყვნენ სავაჭრო ცენზის მიხედვით ამომრჩეველთა წინასწარ სიებში, ახლა ასეთი შეცდომით შეტანილნი უნდა გამოირიცხონ ვაჭართა სიებიდან. ამიტომაც ქალაქის გამგეობა სთხოვს უკანასკნელებს, შემოიტანონ აღნიშნული ნედოიმკები მეორე საარჩევნო ნაწილში ამ მდგომარე წლის 2 მაისამდე, ხოლო მესამეში 9 მაისამდე, თუ სურთ, რომ მონაწილეობა მიიღონ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში. (3—ნ.—2)

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში ამა წლის 27 აპრილიდან, დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, პირველ საარჩევნო ნაწილის, რომელიც შესდგება 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილისაგან, საბოლოო სია იმ ამომრჩეველთა, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას მომავალ 1907—1911 წლების ქალაქ ტფ. საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში, და აგრეთვე ინსტრუქცია თვით არჩევნების მოხდენის შესახებ და ბლანკები იმ პირთა ჩასაწერად, რომელნიც დასახელებულნი იქნებიან კანდიდატებად ხმოსნობაზე. (3—ნ.—1)




ვისაც სურს თავისი კბილები საღათ შეინახოს, მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ ეს შეიძლება მხოლოდ იმ პირობაში, თუ ყოველ დღე მოუვლით კბილებს. ამისთვის აუცილებლად საჭიროა ანტისეპტიკური პირის გამოსავლები საშუალება. ასეთ ანტისეპტიკურ საშუალებათ ითვლება „ოდოლი", რომლის შესახებ მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ საიმედოთ იფარავს კბილებს გაფუჭებისა და გახრწნისაგან. გარდა ამისა კარგს სუნსა სტოვებს პირში.—ოდოლი იყიდება აფთიაქებში და საუკეთესო საათიაქო და საპარფუმერო მაღაზიებში. ერთი ფლაკონი, რომელიც რამდენსამე თვეს გეყოფათ, 1 მ. 50 კ. ღირს.

(1—№17—1) (Метцлъ и Ко 140913)

ქუთაისის ქალაქის
## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1907 წლის მაისის 9-სთვის, დღის 12 საათზე, გამგეობის დარბაზში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** სიღორიის აგარაკში ქალაქის საავადმყოფოს ასაშენებლად. ხარჯთაღრიცხვისა და სხვა პირობების გაცნობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის. (3—ნ.—1)

## ტფილისი, 29 აპრილი

ყოველთვის, როცა კი სახელმწიფო სათათბირო ან ისინი, ვინც იმის გარშემო ტრიალებენ და გარედან ევლებიან მას თავს, ჩვენებურ საქმეებზე იწყებენ ლაპარაკს, ირკვევა და მტკიცდება ის აზრი, რომელიც ხშირად გამოგვითქვამს ჩვენს გაზეთში, მაგრამ მომავალში კიდევ უფრო ხშირად და კიდევ უფრო ენერგიულად უნდა გამოითქმოდეს. ირკვევა და მტკიცდება, რომ ცენტრალური პარლამენტი ვერც ადგილობრივ ინტერესების შესაფერად ჩვენებურ საქმეებს გადასწყვეტს და ვერც ადგილობრივ მთავრობის მოქმედებას გაუწევს შესაფერს დარაჯობას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რა გულუბრყვილობის და საოცნებო უნიადაგო გამოხატულებაა შეკითხვა კავკასიის ადმინისტრაციის საკანონმდებლო განზრახულებათა შესახებ, აღვნიშნეთ ისიც, რომ ცენტრალურ პარლამენტს მაგრე რიგად არც გული ერჩის და არც საკმაო დრო აქვს ჩვენს ადგილობრივს ინტერესებს გამოეკიდოს. აქედან წარმოსდგება ერთის მხრივ ის, რომ ეს პარლამენტი წინააღმდეგ თავის ბუნებრივის დანიშნულებისა თითონ კი არ ადგენს კანონ პროექტებს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, პირიქით ადმინისტრაციას ეკითხება, რას აპირებო. ასეთი შეკითხვით ცენტრალური პარლამენტი თავის კისრიდან საკანონმდებლო მუშაობის ტვირთს იცილებს და ამ შრომას კავკასიის ადმინისტრაციას ავალებს. ჩვენ ვიცით, რა შემოქმედებითი ნიჭის პატრონია კავკასიის ადმინისტრაცია, ჩვენ გვახსოვს კანონმდებლობა ბაუერის, ალიხანოვის და ამიტომ ადვილი გამოსაცნობია, რა მნიშვნელობა ექნება პარლამენტის შეკითხვას. მაგრამ ეს კავკასიის საქმეებზე შეკითხვის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე და უფრო საგულისხმო მხარე ისაა, რომ მთავრობის განზრახულებას კავკასიაში საწარმოებელ პოლიტიკის შესახებ, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, შევიტყობთ სათათბიროს შეკრების დღიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ. ჩვენებური დეპუტატები კი სხვებთან ერთად იმ დრომდე მარტოოდენ შიდა რუსეთის საქმეებზე გამოიჩენენ თავის მჭერმეტყველობას, სოციალისტობას, ხალხის მოსარჩლეობას და სხვა გმირულ თვისებებს.

უკეთესი ბედი არ მოელის მეორე შეკითხვას, რომელიც ჩვენებურმა სოციალ-დემოკრატებმა წარადგინეს ლანჩხუთის დაჯარიმების შესახებ. სწორედ იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ პარლამენტი ჩვენს ქვეყნიდან ოთხი ათასი ვერსის მანძილზე იმყოფება, დეპუტატებმა ისეთი შეკითხვა შეიტანეს, რომელმაც ძალიან საეჭვოა შეკითხვათა საპარლამენტო კომისიაში გაუძლოს გამოცდას და ოფიციალურად მთავრობისადმი წარდგენას ეღირსოს. ჩვენ ვამბობთ, მხოლოდ იმიტომ რომ პარლამენტი ჩვენგან დაშორებულია, და ამ სიტყვებს წითელ კარანდაშს უსვამთ, რადგან არსებითად შესაკითხი და გასაკიცხი ჩვენ თვალ-წინ აუარებელი რამ ჰხდება; მოვიგონოთ თუნდ ის, რომ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება არ დაჰრთო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას დამშეულთა სასარგებლოდ ხელის-მოწერა გაემართა, მაშინ როდესაც პირუტყვთა მფარველ საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობები და ლატარეია-ალეგრების გამართვა არავის არ ეკრძალება; მოვიგონოთ თუნდა ის, რომ ჯგუფებრივი პასუხისგება ჩვენის ადმინისტრაციის ხელში სისტემად გადაიქცა. შესაკითხიც და გასაკიცხიც აქ, ჩვენ თვალ-წინ, დიაღ რომ მრავალი რამ ჰხდება, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს პირი წყლითა გვაქვს სავსე, ჩვენი დეპუტატები კი ოთხი ათასი ვერსის სიშორიდან ვერც არაფერს დაინახავენ და, თუნდაც დაინახონ, ხომ მოგეხსენებათ, როგორც თვალი შორს, ისე გულიო.

ცენტრალური პარლამენტი რომ ფაქტიურად ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედებას კანტროლს ვერ გაუწევს, ეს დღესავით ცხადია. ერთი-ნახევარი საპარლამენტო რეჟიმისა რომ ამგვარად ჩვენი ვის ყინულზე სწერია და ყოველთვის ხელიდან დაუსხლტებათ დეპუტატებს, ამას დამტკიცება არ ესაჭიროება. მაგრამ უკეთესს მდგომარეობაში არ იმყოფება მეორე ნახევარი საპარლამენტო რეჟიმისა, კანონმდებლობა.

რუსეთის ცენტრალურ პარლამენტს ჯერ ჩვენი ქვეყნისთვის კანონ-პროექტები არ შეუდგენია, მაგრამ ძლიერ საპარლამენტო ფრაქციათა ოფიციალურს გაზეთებში კი კანტი-კუნტად ადგილობრივ საკანონმდებლო საკითხებსაც წამოჰკრავენ ხოლმე ხელს პეტერბურგელი პუბლიცისტები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ის, რასაც კადეტების ორგანო სწერს; საინტერესოა იმიტომ, რომ კადეტები არიან ეხლანდელ ცენტრალურ პარლამენტის დედაბოძი და მათს მორალურს ხელმძღვანელობას ემორჩილება ხალხის წარმომადგენელთა უმრავლესობა.

კადეტების მთავარს ორგანო „რეჩ"-ში კი აი რა მარგალიტები შეგვიძლიან ამოვიკითხოთ.

როგორც ვიცით, საერობო რეფორმის წინასწარ მოსაფიქრებლად და განსახილველად 1905 წელს კავკასიის ადმინისტრაციამ სამაზრო და საგუბერნიო კრებები მოიწვია. ამ კრებებზე ზოგან წამოყენებულ იქმნა საკითხი საოლქო საერობო ერთეულის შესახებ, რომელსაც მთელი ამიერ-კავკასია უნდა შეადგენდეს. გაზეთი „რეჩი" იხსენიებს რა ამ ფაქტს, ნაღვლიანად შენიშნავს, ოლქს მარტო ამიერ-კავკასია კი არა, ამიერ და იმიერ კავკასია უნდა შეადგენდეს ერთადო. თავის ნაღველს კადეტების გაზეთი ისტორიულადაც ასაბუთებს: „კავკასიის გაყოფა ამიერ და იმიერ კავკასიად პირდაპირ ხელოვნურად არის შექმნილი მთავრობისაგან ფისკალურ და საპოლიციო მოსაზრებებით. ასეთი გაყოფით უწყალოდ გაიჭრენ შუაზე მაგალითად ოსების, ჩეჩნების და მთის სხვა მოდგმის ერები, რომელნიც კავკასიის ქედის ორთავ მხარეს სცხოვრობენ. მათთვის კავკასიის კრებული ისეთივე საკეთილდღეო დაწესებულება იქმნებოდა, როგორც ყველა სხვა ამიერ კავკასიის ერებისთვის, რაც მათ არა ცრთხელ აღუნიშნავთ თავის პეტიციებშიო." მაშ ასე, „რეჩს" ჰსურს ერთ საერობო ერთეულად აქციოს მთელი კავკასია, რომლის სივრცე გაცილებით აღემატება ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობის სივრცეს და რომლის ტოლი საერობო ერთეული ჯერ არსად არ ყოფილა. „რეჩს" ჰსურს უიმისოდაც ჭრელი ეროვნული შედგენილობა ამიერ კავკასიისა კიდევ უფრო გააჭრელოს. „რეჩს" ჰსურს, ეროვნული თვითმყოფელობა თითოეულის კავკასიელის ერისა ერთი-ერთმანეთში გაითქვიფოს და ვაილესოს ისე, რომ ამ ეროვნული კონგლომერატისაგან რაღაც ახალი ტიპი შემუშავდეს. „რეჩს" ნოვატორობის საღერღელი აშლია და თავისებურად განმარტავს კავკასიის ისტორიასაც. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთის პირდაპირი გავლენის ქვეშ მხოლოდ საქართველო იყო, სადაც „Верховное Грузинское Правительство" ჰმოქმედობდა, ვიცით ისიც, რომ მთის ხალხთან რუსეთს მთელი საუკუნე ომი ჰქონდა და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში დაიპყრა მან მთელი კავკასია. „რეჩი" კი გვეუბნება, ამიერ და იმიერ კავკასია საპოლიციო და ფისკალურ მოსაზრებით გაიყო შუაზეო.

„რეჩის" პუბლიცისტს ფისკალური და საპოლიციო მოსაზრებები ჰქუაში არ მოსდის. კეთილი, მაგრამ რა მოსაზრებით ნატრობს იგი ამიერ და იმიერ კავკასიის გადაქცევას ერთ საერობო ოლქად? ნუ თუ ამას თითოეული ერის ეროვნული ინტერესი მოითხოვს? თუ მართლა იმ ერების ინტერესი ალაპარაკებს, რომელნიც კავკასიის ქედით შუაზე იჭრებიან, რატომ საღი გონება არ უკარნახებს, მოითხოვოს ამ ერების ორთავე ნაჭრის შეერთება თვითმმართველ ეროვნულ ერთეულებად და არა მთელი კავკასიის ერთა შედუღება ერთს საკავკასიო ერობაში?

რატომ და იმიტომ, რომ მიუხედავად კადეტების მძიმე მეცნიერობისა კავკასიის საქმეები იმათაც მაგრე რიგად ბევრი არაფერი ე[illegible]მით, ხოლო ის კავკასიელნი კი, ვინც ამ პარტიის დროშას აფარებენ თავს, კავკასიის მთიულებზე კი

არა, სულ სხვა რამეზე ზრუნავენ. ამ ვაჟბატონების ჭეშმარიტი მისწრაფება ისაა, რომ კავკასიის ერების ფედერაციას გაუტეხონ გასავალი და ამ თავისუფალ იდეის ადგილას ფალსიფიკატორულად გაასაღონ კავკასიის ერების შეერთება ადმინისტრატიულს და საერობო ერთეულებში. ესაა მიზეზი, რომ ეს ვაჟბატონები ქამელეონურად იცვლიან წარამარა ქერქს და ხან ადმინისტრაციას უცოცდებიან გულზე, ხან რუსეთის სოციალდემოკრატიის ცენტრალიზმს და ხან კადეტების რეალურ პოლიტიკას. ესაა მიზეზი, რომ იმათი პუბლიცისტები ფედერაციას „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების“ და არა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პრინციპად ასაღებენ პეტერბურგში.

რა გაგვეწყობა? უცბად არაფერი, მაგრამ სისტემატიურის შრომით და იდეიურის ბრძოლით კი თანდათან საკმაო ნათელი მოეფინება ცენტრალურ პარლამენტსაც და მთელი კავკასიის გაერთიანებასაც საერობო ოლქად.

## კონგრესი ეროვნულ საკითხის შესახებ

16—20 აპრილს საზღვარ გარედ მოხდა რუსეთის სხვა და სხვა სარევოლიუციო პარტიების კონგრესი ეროვნულ საკითხის გამოსარკვევად და ზოგიერთ პრაქტიკულ სარევოლიუციო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ამ კონგრესის შესახებ ჯერ-ჯერობით ჩვენ მოგვაწოდეს შემდეგი ცნობები:

კონგრესის მოწვევა ითავა ს.-რევ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. სულ მოწვეული ყოფილა 11 სოც.-რევოლიუციონური პარტია სხვა და სხვა ერებისა, რომელთაგან ოთხი ვერ გამოცხადდა შემთხვევით მიზეზებისა გამო; გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები შემდეგ პარტიებმა: 1) ს.-რევ., 2) პოლონეთის სოც. პარტიამ, 3) ბელორუსთა „გრომადა“-მ, 4) ფინლიანდიის „აქტიურ წინაამდეგობის“ პარტიამ, 5) ებრაელთა პროლეტარიატის სოც. პარტიამ (სერპ), 6) ქართვ. სოც.-ფედერ. პ. და 7) სომხ. „დაშნაკციუტუნმა“.

კონგრესმა განიხილა შემდეგი საკითხები: I. ეროვნული საკითხი და სოციალიზმი; II. ფედერაცია და ავტონომია; III. მცირე ერთა უფლებების გარანტია; IV. აგრარული საკითხი სხვა და სხვა რაიონისა და ერის შორის; V. რუსეთის თითოეულ ერის დღევანდელი პოლიტ.—სოც. მდგომარეობა და VI. პრაქტიკული საკითხები: ა) შეთანხმებული მოქმედება დამსწრე პარტიებისა, ბ) საერთო ორგანოს გამოცემა, გ) ს.-რ. საპარლამენტო ფრაქციასთან ინტერნაციონალურ კომისიის დაარსება და ზოგი სხვა, რომელნიც გამოქვეყნებულ არ იქნებიან.

პირველად კონგრესს წარუდგინა მოხსენებანი თეორიულ საკითხების შესახებ „სოციალიზმი და ეროვნული პრობლემა“. მომხსენებელნი სხვა და სხვა მხრიდან შეეხნენ ამ კითხვას: რა არის ნაცია, ეწინააღმდეგება თუ არა ეროვნულ თავისუფლებისთვის ბრძოლა მშრომელ კლასსთა თანამედროვე ბრძოლას, ეროვნული საკითხი კლასსთა ბრძოლის მიხედვით, ეროვნული პრობლემა ბურჟუაზიულის და სოციალისტურის თვალთახედვით და სხვა. საერთოდ მომხსენებლებმა აღიარეს უდიდესი მნიშვნელობა ეროვნულ პრობლემისა კაცობრიობის თანამედროვე ცხოვრებაში საზოგადოდ და სოციალისტურ მოძრაობისთვის კერძოთ; დაამტკიცეს, რომ თუ ეროვნული საკითხი დღესვე არ გადაწყდა ჯეროვანად, იგი დიდ შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცევა სოციალისტურ მოძრაობისთვის; თანამედროვე ეროვნული ქიშპობა და ერთის ერისაგან მეორის დაჩაგვრა ხელს უშლის სწორედ მშრომელ კლასსთა საქმეს: აგვიანებს მათ გათვითცნობიერებას და აჩრდილებს მათ კლასსიურ ბრძოლასაო...

როგორ უნდა გადაწყდეს ეროვნული საკითხი თანამედროვე ბურჟუაზიულს ხანაში და უმთავრესად რუსეთში—ამ მრავალ ერების სახელმწიფოში? ამ საკითხის განხილვას შეუდგნენ მეორე რიგის მომხსენებლები, რომელთაც წარუდგინეს კონგრესს მოხსენებანი ფედერაციის და ავტონომიის შესახებ და აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებით უზრუნველყოფილი უნდა იქმნან მცირე ერთა უფლებანი. ფედერაციის პრინციპი კონგრესის მიერ ერთხმად აღიარებული იქმნა, როგორც აუცილებელი საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენდეს მომავალი რუსეთის სახელმწიფო წესწყობილება. კერძოთ ავტონომიის საკითხში კონგრესზე ორმა მიმართულებამ იჩინა თავი: ერთნი (ს.—რევ., პოლონელები და ქართვ. ს.—ფედ.) იცავდნენ ტერიტორიალურ ნაციონალურ ავტონომიებს; იმ ერებს, რომელთაც განსაზღვრული ტერიტორია აქვთ, უნდა მიენიჭოს ავტონომიური წესწყობილება სრულის დემოკრატიულის საფუძვლებზეო, ხოლო ამათ საზღვარში მცხოვრებ სხვა მცირე ეროვნულ ერთეულების უფლებანი უზრუნველყოფილ უნდა იქმნან საზოგადო სახ. კანონებით და ავტონომიურ კანონებითაც (თავისუფალი სკოლა, ეკკლესია, პროპორციონალური წარმომადგენლობა ადგილობრივ სეიმებში და სხვა გარანტიები); უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ კონგრესმა ერთხმად აღიარა, ტერრიტორია განისაზღვრება რეალურის და არა ისტორიულის პრინციპის მიხედვითაო. მეორენი (ებრაელთა სოც. პ., სომხ. „დაშნაკც.“) იცავდნენ წმინდა ეროვნულ ავტონომიებს. გარდა ტერრიტორიალურ ავტონომიებისაო, ამბობდნენ ესენი, ყოველ ერს, მიუხედავად ტერრიტორიისა, ნება უნდა ჰქონდეს შეადგინოს ეროვნული კავშირი იძულებითის ხასიათისა, რომელმაც უნდა განაგოს ამ ერის კულტურული საქმეებიო. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ებრაელნი: ამათ საკუთარი ტერრიტორია არა აქვთ; ამიტომ ისინი გახდებიან ან პოლონეთის, ან უკრაინის, ან ველიკო ოსიის ავტონომიების მოქალაქეებად. ამ ავტონომიებში მათ უნდა მიენიჭოთ ყველა უფლებანი; შემდეგ, ყველა ებრაელნი, სადაც-კი უნდა სცხოვრობდნენ, შეადგენენ განსაკუთრებულს ეროვნულს კავშირს, რომელსაც ადგილობრივი თვითმართველობანი ექნება (პოლონეთში, უკრაინაში, რუსეთში, საქართველოში და სხვ.) და ერთი ცენტრალური ებრაელთა სეიმი, რომელსაც საკანონმდებლო უფლება ექნება კულტურულ საქმეებში და რომელსაც ყოველმა ტერრიტორიულმა ავტონომიამ ბიუჯეტის ნაწილი უნდა დაუთმოს თავის საქმეების განსახორციელებლად. ამ ტიპის ავტონომიების დამცველნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ უამისოდ არ შეიძლება მცირე ერთა უფლებების დაცვა ისეთს აჭრელებულს ქვეყანაში, როგორც რუსეთია; ყოველს ახალს ტერრიტორიაში მოხვდება რამდენიმე სხვა ერი, რომელნიც ისევ დაჩაგრული იქნებიან, როგორც ცენტრალისტურს რუსეთში იყვნენო, თუ მათი საეროვნო-საკულტურო საჭიროებანი გამოყოფილ არ იქნენ ტერრ. ავტონომიის კომპეტენციიდან და არ გადაეცნენ ეროვნულ კავშირებს დამოუკიდებლად წარმოებისათვის. ამ საკითხზე კამათმა დღე-ნახევარი გასტანა და ბოლოს კონგრესმა მიიღო შემდეგი რეზოლიუციები: ტერრიტორიალურ-ნაციონალური ავტონომიების საჭიროება უცილობელია; რაც შეეხება ეროვნულ ტიპის ავტონომიებს, ისინი მართალია, ჯეროვნად დაიცავენ მცირე და გაფანტულ ერთა უფლებებს, მაგრამ რადგან ამ ტიპის ავტონომია ჯერ არაა საკმაოდ გამორკვეული პრაქტიკულის მხრით, კონგრესი ურჩევს ყველა სოციალისტურ პარტიებს, თავიანთ კრებებზე, დისკუსიებზე და ლიტერატურაში დაწვრილებით განიხილონ საკითხი და გადაჭრილი აზრი შეიმუშავონ შემდეგ კონგრესისათვის.

შემდეგ კონგრესმა მოისმინა თითოეულ პარტიის მოკლე მოხსენებანი თავის ეროვნების სოციალ-პოლიტიკურის მდგომარეობის შესახებ. საერთოდ გამოირკვა, რომ ყველანი ბეჯითად მიისწრაფიან ავტონომიურ წესწყობილებისაკენ, რომ ამ მხრით ყველგან შედარებით ერთსულოვნება ჰსუფევს. ამ მოხსენებებმა მცირე კამათი გამოიწვიეს. კერძოდ საქართველოს შესახებ კონგრესმა დიდის ყურადღებით მოისმინა ს.—ფ. მოხსენება, რადგან ძალიან ნაკლებს წარმოდგენა ჰქონდათ ყველას ჩვენის ქვეყნის დღევანდელ ქირ-ვარამზე. კონგრესი დაინტერესდა და ეკითხებოდა ქართველებს უმთავრესად შემდეგ საკითხებზე: რით აიხსნება, რომ საქართველოს წარმომადგენლებად მარტო ს—დ არიან სათათბიროშიო, თუმცა საქართველო უფრო მიწად მოქმედების ქვეყანაა და არა განვითარებულ მრეწველობისაო, რით აიხსნება, რომ ქართ. ს.-დემ. წინაამდეგია ავტონომიისაო, როცა ყოველ ერის სოციალისტური პარტიები არა თუ ავტონომიას, სრულს დამოუკიდებლობასაც არჩევენო და სხვა. . საინტერესო იყო, სხვათა შორის, ავტონომიაზე კავკასიაში „დაშნაკც.“-ის წარმომადგენელთა აზრი. მათის შეხედულებით ამიერ-კავკასიაში ეხლავ უნდა განხორციელდეს ფედერაცია, რომელშიაც **შეძლების დაგვარად** მოეწყობა ეროვნულ ტერრიტორიალური ავტონომიებიც: ამიერ-კავკასია დაიყოფება შტატებად; ზოგს, როგორც მაგალითად ქართველებს შეეძლებათ წმინდა ეროვნულ შტატის შექმნა, რადგან მათ განსაზღვრული ტერრიტორია აქვთო, სხვა ერებს-კი უფრო რაიონულ შტატების დაარსება მოუხდებათ; საერთოდ ამ შტატებმა ერთი სახელმწიფო ერთეული უნდა შეადგინონო კავკასიის საერთო საქმე-საჭიროებების გასაძღოლათაო.

შემდეგ კონგრესმა მოისმინა თითოეულ პარტიის მოხსენება აგრარულ საკითხის შესახებ. საზოგადოთ გამოირკვა ყველა ერების ს.-რევოლიუციონურ პარტიების აგრარულ პროგრამის ნათესაობა ეს-ერების პროგრამასთან უფრო შორეული აღმოჩნდა პ. პ ს.-ის პარტიის პროგრამა, რომელიც მახლობელ დროში ვერ სცნობს შესაძლებლად სოციალიზაციის პრინციპის განხორციელებას პოლონეთში... ბოლოს კონგრესმა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: აგრარული საკითხი უნდა გადასწყდეს ადგილობრივ ავტონომიებში; ხოლო თუ ეს საკითხი მთელს რუსეთში უფრო ადრე გადაწყდა, ვიდრე ავტონომიები დაარსდება, მაშინ ეროვნული ს.-რევოლიუციონური პარტიები ემხრობიან ეს-ერების პროგრამას იმ ცვლილებებით, რომელთაც დაინტერესებული პარტიები უჩვენებენ.

მეხუთე დღე კონგრესმა მოანდომა პრაქტიკულ საგნების განხილვას. სხვათა შორის გადაწყდა: რუსეთის ერთა სოციალისტურ-რევოლ. პარტიების კონგრესი მუდმივ დაწესებულად გადაიქცეს, ე. ი. კონგრესი ყოველ წელს მოხდეს, და დაწესებულ იქმნას კონგრესის მუდმივი ბიურო, დასავლეთ ევროპის სოციალისტურ საერთაშორისო კონგრესების ბიუროს ტიპის მიხედვით; პრინციპიალურად გადაწყდა აგრეთვე საერთო ჟურნალ-ორგანოს გამოცემის საჭიროება, ხოლო პრაქტიკულის გეგმის შედგენა დაევალა ბიუროს; გადაწყდა აგრეთვე, რომ ეს-ერების საპარლამენტო ფრაქციასთან არსდება საკანონმდებლო კომისია, რომელსაც ვალად ედება, ყოველ ეროვნულ სოც.-რევ. პარტიის წარმომადგენელნი მიიწვიოს სათათბიროდ, როცა პარლამენტს წარედგინება ამ ერის ან ოლქის შესახები კანონ-პროექტები. დანარჩენი პრაქტიკული გადაწყვეტილებანი არ გამოქვეყნდება.

დასასრულ არჩეულ იქმნა კონგრესის ბიურო ერთის წლის ვადით.

## ახალი ამბავი

✦ **ბაღებში კრებების აღკრძალვა.** ტფ. გენ.-გუბერნატორმა შემდეგი ბრძანება გაუგზავნა პოლიცმეისტერს: „როგორც გავიგე, ქალაქს გარედ ბაღებში იმართება მრავალრიცხოვანი კრებები და ყრილობები. ამის გამო წინადადებას გაძლევთ, გამოუცხადოთ ქალაქის განაპირა ადგილებში მდებარე ბაღის პატრონებს, რომ თუ ეს ხმები გამართლდა, ბაღები, სადაც კრება გაიმართება, აუცილებლად დაიკეტება სამხედრო წესების მოხსნამდე“.

✦ **ხელზე მოსამსახურეთა კავშირი.** ამას წინად ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, დაიხურა ტფილისის მზარეულთა და ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი და დაპატიმრებულ იქმნენ კავშირის ბიუროს წევრები. თუმცა ეხლა-ხან ბიუროს დაპატიმრებული წევრები გაანთავისუფლეს, მაგრამ კავშირის მოქმედება დღესაც შეწყვეტილია. ამის გამო კავშირის წარმომადგენლებმა სთხოვეს ტფ. ქალაქის თავს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, უშუამდგომლოს, რომ კავშირის მოქმედების განახლების ნება მისცენ.

✦ **საექიმო დახმარება.** პეტერბურგსა და მოსკოვიდან ამ დღეებში ჩამოვიდა 8 ექიმი, რომელნიც გამოგზავნილნი არიან რუსეთის დაშიულთა დამხმარებელ ცენტრალურ კომიტეტისაგან. ექიმებს დავალებული აქვთ წავიდ-წამოვიდნენ კავკასიის დაშიულ ნაწილებში საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

✦ **ია კარგარეთლის შესახებ.** ოდესიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „ოპერაციის შემდეგ კარგარეთელი შესამჩნევად გამოკეთდა. კლინიკა იკეტება პირველ მაისს. შეუძლებელია ექიმობის შეწყვეტა. კარგარეთელი უნდა მოთავსდეს კარგ სამკურნალოში, შემდეგ უნდა გაიგზავნოს ...

# ფელეტონი

### სიმღერა

როს ვუკვირდები თავის თავს
და არ ვემდური მეტადა:
მადლს დავთვლი ათასობითა,
ცოდვა სამ რჩება კენტადა,—
მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცად ვიწევ ასაფრენადა.
გაჩნდება სითლაც ნათელი
გულს ჩამიდგება სვეტადა;
ზღვავდება მწყობრი სიტყვები
ქალალდზე დასაბლერთადა;
მითრთიან გულის სიმები,
სიამოვნების ღმერთადა.
არა ვსთქვა, არ შემიძლიან,
მონა ვარ მაშინ ჩანგისა;
ნაცნობნი მეუბნებიან:
„ჭირიმე შენის ჰანგისა!“
თავადაც მომწონს: საამოდ
ხმა მწყობრად ადის-დადისა;
ჰქუხს ჩანგი, აღარ ისვენებს,
მეც მხოლოდ მღერა მწადისა;
იშლება, მღერაში დნება
ბუდე ყველა სხვა დარდისა.
ზღვად ვცურავ ნეტარებისა,
წვერი ხელთა მაქვს კალთისა,
უფლის და მისთა მსახურთა
ლოცვა-კურთხევა მომდისა,
კალთაში ვარდი მეშლება,
თავზე მანანა დამდისა;
მადლობელი ვარ მშობლისა
ჩემის გაჩენის, გაზრდისა.
და თუ ცოდვები მომჭარბდა,
სდუმს ჩანგი, გული ბნელია;
ვცდილობ, რომ ლაღად ვიმღერო,
სიტყვა გავლესო ცხელია,—
ამაოდ ვტანჯავ თავის თავს...
ვამხელ და გასამხელია:
იგივ მარჯვენა და კაცი,
იგივ კალამი მჭრელია;
დაჩლუნგებულა, დამდგარა
შემოჯჰხვევია გველია,
ჯოჯოხეთში ვარ, ვიწყევი
გაჩენის დღესა ვწყევლია.
ასე ყოფილა, მგოსანსა
თუ მადლი გამოელია.

**ვაჟა-ფშაველა**

### ნ ა დ უ ღ ი

გიჟმაჟ ოცნების შადრევანს,
საით მიმაფრენ,
ცის სამყაროში სანეტაროს
თქვი, რას მიქადი?
იქ წინ მიყენებ შვებათ-შვებას,
სხივებს მომაფენ,
აქ სულს მიღადრავს სინამდვილე
თვით ცხადზე ცხადი!..

—

მრქვი, მეგობარო, სით ისწრაფვი
გამალებული,
და მეც „ამხანაგს“ რად მეძახი,
რისთვის მიგონებ?
სარგებლობ განა, რომ გიჯერებს
საბრალო გული?—
შენ მას ვერ იცნობ და მით ტანჯულს
ვერც მიუფონებ!..

—

სატრფოვ, „ხმა-ტკბილო“, შენც
[შორს დგახარ,
როგორც მაღლა ცა!
მაშ, ვით მივაყრდნო განწირულმა
მაგ ცივ მკერდს თავი?
მაგ „ციურ ხმებში“ ორჭოფული
მესმის რაღაცა,—
ზღვა ხარ უნდობი, მე კი მხოლოდ
ობოლი ნავი!..

—

ჭეშმარიტება?! იგი მხოლოდ
ერთად ერთია;
აქ კი ყოველ მხრით, სხვა და სხვა გზით
გესმის მრავალი
იგი აზრთ ლტოლვის, მისწრაფების
შემაერთია
და დღეს იდუმალ იმათ შორის
მხოლოდ მავალი.

—

მაშ, მეც ნება მაქვს, გიპასუხოთ
სურათ-ხატულად,
ვამოცქულო თქვენთან მხოლოდ
ქაღალდ-მელანი
და აღვიარო, გულს აღმოხდა
რაც ნაკადულად:
თქვენ მართალნი ხართ, მაგრამ...
[ვაგლახ!—
სცდებით ყველანი!..

**დ. თომაშვილი.**

### იესო და ბურჟუა.

სატირა.

(ჟულ ლემეტრით)

**ა. აშფითეაჭროვისა.**

მწყემსები წავიდნენ. მოგვები ჯერ არ მოსულიყვნენ.

მარიამს გულზე ყრმა ჰყავს მიყრდნობილი და ისე სძინავს ბაგაში. ყრმა თბილად და კარგად არის შეხვეული ჩალაში. იოსებს გადაბრუნებულ ურემზე სთვლემს.

თენდება. კარის ჭუჭრუტანაში მკრთალი სხივი შემოდის.

ნაბიჯის ხმა ისმის. კარი ვიღამაც გააღო, თავი შემოჰყო და გაჰკვირდა.

— ჰმ!

შემოვიდა.

— სალამი!

იოსები ფეხზე წამოდგება.

— გმადლობთ,—მიუგებს იგი.

— შეწუხებისათვის მაპატიეთ.

— ნუ სწუხდებით!—ეტყვის მორცხვად იოსები.

— ნება მიბოძეთ გავიგო, ასე ვთქვათ, რა უფლებით ხართ აქა?

— მ-მ-მ... მ-მ-მ...

— და, ასე ვთქვათ, რას აკეთებთ აქა?

— მ-მ-მ...

— მე, ასე ვთქვათ, მუცია ნაზიკა ვარ, ამ ფარეხის პატრონი; თქვენ, ასე ვთქვათ, ვინა ბძანდებით?

— იოსები თავდაბლა თავს უკრავს და თავის სახელს ამბობს.

— როგორა, თქვენა ბძანეთ, იოსებიო, ხურო ნაზარეთიდან? სხვასთან მუშაობთ, თუ თქვენი საქმე გაქვთ? შეგირდები გყავთ და მოჯამაგირეები? მერე, ასე ვთქვათ, მოგება გრჩებათ რამე?

იოსები აქეთ-იქით იყურება.

— ნება მიბოძეთ...—ამბობს იგი.

— მე, ასე ვთქვათ, არ მესმის: რა ესაქმებოდა ნაზარეთელ ხუროს იოსებს ჩემს ფარეხში და ასე უდროოდ?

იოსები ბოდიშით ამბობს:

— კეისარ ავგუსტის ბძანებით მთელი ქვეყნის აღწერა უნდა მოხდეს და ყველა თავის ქალაქს უნდა მისწერებოდა, ამიტომ მე ოჯახით ბეთლემში მივდივარ ჩასაწერად.

— დიაღ... დიაღ... აღწერა... ნაზარეთი... ბეთლემი... ეჰ, ასე ვთქვათ, მართალსა ჰგავს...

— სასტუმროში ადგილი ვიშოვნეთ და მე და ჩემი ცოლი, რომელსაც მშობიერების ჟამმა მოუსწრო, ცის ქვეშ დავრჩით. მაშინ თავშესაფარი ამ ფარეხში ვიპოვნეთ. სხვა აზრი ჩვენ არა გვქონია. და ამას გარდა, ფარეხი ღია იყო...

— ის-ღა გაკლდათ, რომ კლიტე დაგემტვრიათ,—ღიმილით ამბობს მუცია.

— ჩვენ ისიც გვეგონა, რომ ფარეხი მიტოვებულია.

— კი, მაგრამ ნებართვა რატომ არ ითხოვეთ?

— რისა?

— ფარეხში დაბინავებისა,

— რა მექნა, რომ არ გიცნობდით...

— ეგ პასუხი არ არის.

— კარგად მესმის, რომ პატრონის დაუკითხავად შეუძლებელია, მაგრამ სად მომეძებნეთ?

— ეგ მე არ მეხება და თქვენს მოვალეობას შეადგენს. თქვენი ხნის კაცს, ასე ვთქვათ, უნდა ესმოდეს, რომ იქ, საცა სამფლობელოა, მფლობელიც უნდა იყოს.

— დამნაშავე ვარ. მომიტევეთ. თუ გწყინთ, თუმცა გვეძნელება, მაგრამ იძულებული ვიქნებით წავიდეთ. ხომ ჰხედავთ, რა მდგომარეობაში ვართ. ნუ გაგვრისხავთ... ნება მოგვეცით...

— რა ბძანებაა. მე, ასე ვთქვათ, ბარბაროსი არა ვარ და თქვენი მდგომარეობა მესმის... რა-კი შემოსულხართ, ვიდრე თქვენი ცოლი უკეთ შეიქნებოდეს, დარჩით. მე მარტო წესიერებას ვიცავდა

ზავნოს ლიმანზე. ფული სულ დაიხარჯა. საჭიროა ჩქარი დახმარება. ვთხოვთ ყველას, ყურადღება მიაქციონ ავადმყოფს. აბდუშელიშვილი".

✦ **მოხსენება სააგრარო კომისიაში.** 27 აპრილს ტფ. დეპუტატთა საკრებულოში მოხდა სხდომა თავად-აზნაურთა კრების მიერ არჩეულ სააგრარო კომისიისა. წაიკითხეს მ. ვ. მაჩაბლის მოხსენება. მოხსენებაში ის აზრია გატარებული, რომ მშრომელ ხალხისთვის შეძენილ უნდა იქნას თავისუფალი მიწები. სხვათა შორის შესყიდულ უნდა იქნას ის მამულები, რომელიც ტფ. სათავად-აზნაურო და სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკებში გაიყიდება. ეს მამულები უნდა განაწილდეს უმამულო ან მცირე მამულიან ხალხის შორის. ამასთან, მომხსენებლის აზრით, საჭიროა ეხლავე შესწყდეს რუსეთიდან გლეხების გადმოსახლება და შემოღებულ იქმნას ფართო ადგილობრივი თვითმართველობა. კომისიამ დაადგინა, წარუდგინოს მოხსენება თავად-აზნაურთა მომავალ კრებას.

✦ **ადელხანოვის მუშების შესახებ.** 27 აპრილს ტფ. ქალაქის თავმა ადელხანოვის ქარხნიდან დათხოვნილ მუშებს აცნობა ქარხნის პატრონის პასუხი. ადელხანოვს განუცხადებია, რომ იგი ქარხნებში მუშაობას განაახლებს შემდეგის პირობით: 1. თუ ქარხანაში დარჩენილი მუშები თანახმანი იქნებიან, რომ 110 დათხოვნილი მუშა დაუკმაყოფილებლად იქმნას გასტუმრებული და ნება მიეცემა მექარხნეს ამგვარადვე კიდევ დაითხოვოს ერთი ჯგუფი მუშებისა; 2. თუ მექარხნეს შეეძლება თავის შეხედულებით შეუმციროს მუშებს ჯამაგირი და 3. თუ ქარხნის ადმინისტრაციას შეეძლება დამოუკიდებლად გაანაწილოს სამუშაო. მუშებმა სურვილი გამოსთქვეს, განაგრძონ მოლაპარაკება მექარხნესთან, თუ იგი ქარხანას გაადებს და თითონ დაესწრება მოლაპარაკებას. ქალაქის თავმა ხელ-ახლა ნახა ადელხანოვი და გუშინ, 28 აპრილს, მეორედ მიიწვია მუშები.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს ახალ სოფლის მცხოვრები ნიკო რიგიშვილი, რომელსაც აბრალებენ თიანეთის მაზრის სოფ. ჩაბანის მცხოვრების ივ. ალბუთაშვილის სახლისთვის ცეცხლის წაკიდებას და იმავე სოფლის მცხოვრების გამო ჯიმშიტაშვილის სახლის გაცარცვას. ვიატკის გუბერნიაში ხუთის წლით იგზავნება მიხ. ალექსანდროვი, რომელსაც ჰბრალდება მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. ტფ. საგ.-გუბერნატორიდან ეტაპით იგზავნებიან: თედო აბრამიშვილი, მ. ჰოდოსოვი, ა. სარქისოვი, ა. მირზოევი, ა. გრიგოროვი, მიხაკო მაისურაძე და მ. ხაზაროვი. 500 მანეთით დააჯარიმეს მეძავ სახლის პატრონი მარიამ მავმევიჩი და იმისი მოურავი ი. შაბაშევიჩი, რადგან მათ გაალეს გენ.-გუბერნატორის ბრძანებით დაკეტილი სახლი. ამის გარდა მათ აეკრძალათ საგენ.-გუბერნატოროში ცხოვრობა.

✦ **მკვლელობა.** 27 აპრილს, ღამის 11 საათზე, ველიამინოვის ქუჩაზე, იუზბაშევის საკანდიტეროს მახლობლად მიდიოდა ვიღაც კაცი. უეცრად ქვაფენილზე უცნობი წაიქცა და დაიწყო ყვირილი, მიშველეთო. პოლიციელი მიეშველა. უცნობმა განაცხადა, გრიგოლ ფირადოვი ვარ და ვიღაც კაცმა დამჭრა. დაჭრილი ფირადოვი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ იგი გზაზე გადაიცვალა.

✦ 27 აპრილს რიყის ქუჩაზედ მიმავალ პატრულის ათიცერმა საღამოს 10 საათზედ მოსთხოვა ტრამვაის ვაგონის დამტარებელს საკუთვს შეჩერებულიყო. საკუთვს ვერ გაეგო პატრულის მოთხოვნილება ... და ვაგონი არ გაეჩერებინა. საკუთვი შემდეგ დააპატიმრეს და საკომენდანტოში გაგზავნეს.

✦ ხვალ, 30 აპრილს, ტფ. ქალაქის საბჭოს მორიგ კრებაზედ განსახილველად დანიშნულია 28 ძველი და ორი ახალი საქმე.

✦ 27 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზე, პოლიციის 8 ნაწილში მცხოვრებს ნახიჩევნელს გევორქ ტერ-კასპარიანცს თავის მოკვლა განუზრახავს და რევოლვერი უსროლია. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 27 აპრილს სოსიევის წყლის ქარხნის კონდუქტორს ლოლაძეს, როცა იგი ვარდის უბნის ქუჩაზედ გონიაშვილის მაღაზიაში იყო, დაეცნენ შეიარაღებული კაცები და ფული მოსთხოვეს. წაართვეს 411 მან. და მიიმალნენ.

✦ პუშკინის ქუჩაზედ 27 აპრილს ჩხუბი მოსვლიათ გ. ოძიაძეს და ა. დევდარიანს. მათ ერთმანერთი დასჭრეს.

# პატარა ფელეტონი

## სასამართლო

(სურათი ერთობის დროიდან)

ეკლესიის გალავანში მთელ სოფელს მოეყარა თავი. ყველა იქ იყო: მღვდელი და დიაკვანი, გლეხი და თავადი, პატარა და დიდი, ქალი და კაცი.

ზოგი ამტყუნებდა, ზოგი თავს იმართლებდა, ზოგი მოწმობდა, ყველანი კი საერთოდ მოსამართლეები იყვნენ.

ქალები ცალკე იდგნენ, კაცები ცალკე. გოდელიანთ გიორგას ერთი თვით ბოიკოტი გამოუცხადეს, რადგან ბოქაულთან იჩივლა; ჯილაურიანთ სანდროს ერთობის სასარგებლოდ თუმანი გადაახდევინეს, რადგან თავად კოტეს, რომელსაც ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული, პურის ცხობაში თავის ცოლი მიაშველა; კობიანთ პავლეს დანაშაული აპატიეს და ბოლოს ილიკოს საქმეზე გადავიდნენ.

— აბა, ეხლა ილიკოს ჯერი მოვიდა. —დაიძახა კრების თავმჯდომარემ.—დაუძახეთ ორივეს!

ილიკო და სოფო წინ წამოდგნენ. ილიკო მამაკაცების წინ გაჩერდა, სოფო ქალების წინა რიგში შედგა, მაგრამ ქალებმა უკან დაიხიეს და ბრალდებული მოედანზე დასტოვეს.

ორი წლის წინად ობოლი სოფო მედუქნე ვასომ ითხოვა. ჯერ ტკბილად სცხოვრობდნენ, მაგრამ მერე ვასომ ღვინის სმა დაიწყო, რაც ჰქონდა, ისიც თითონ შეჭამა, ვალებში გაეხვია, ცოლს ცემა დაუწყო და იმის მზითევიც გაფლანგა. ერთ დღეს ვიღაც მეარღნესა და მაწანწალა რუსის ქალს გაჰყვა, ორი დღის შემდეგ უკან დაბრუნდა, თავის დუქანი ჩალის ფასად გაჰყიდა, სოფო უსახლკაროდ, უპატრონოდ დასტოვა და სამუდამოდ გადაიკარგა.

ერთობა რომ დაიწყო, ვასო ისევ უკან დაბრუნდა და გაიგო, რომ სოფო იმერელ მეპალე ილიკოსთან სცხოვრობს და ორი თვის ბაეიცა ჰყავს.

ვასომ ერთობასთან იჩივლა, ერთობამ კი ორივენი სამართალში მისცა.

კრებას მეთაურობდა ოცი წლის ახალგაზდა „ჩიორა", რომელიც ახლო-მახლო სოფლებში დადიოდა და ქადაგებდა.

ილიკოს ორივე ცერა თითი ქამარში ჰქონდა ჩაწყობილი და თავდაღუნული მიწას ჩასცქეროდა.

სოფოს ხელცახოცი თვალებამდის ჩამოეშვა, გულ-ხელი დაეკრიფა და გაშეშებული მკერდზე იყურებოდა.

— რა გქვიან?—გულგრილად ჰკითხა „ჩიორამ" ილიკოს.

ილიკომ ხმა არ ამოიღო.

— შენ გეკითხები, ამხანაგო, რა გქვიან მეთქი?

— ილიკო...—წაილუღლუღა ბრალდებულმა და ფეხი იცვალა.

— შენა?—მიუბრუნდა „ჩიორა" სოფოს და ცოტა ხნის შემდეგ გაუმეორა: რას ჩაგიღუნია თავი, ნუ გეშინიან, არ შეგჭამთ.

— პირშავია და იმიტომ ჩაუღუნია თავი.—წაიბუტბუტა მოხუცმა დედაკაცმა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— სოფო ჰქვიან შენი ჭირიმე.—სთქვა იმავე დედაკაცმა და სოფოს დაუბღვირა.

— დაო სოფო! დინჯად დაიწყო ჩიორამ და ოფიციალური კილო მიიღო.—ამხანაგი ვასო ბრალსა გდებს, რომ შენ.., რომ შენს კანონიერ ქმარს უღალატე, გამოექეცი და ამ კაცთან უკანონოდ ცხოვრობ. მართალია თუ არა?

სოფო სდუმდა.

— მართალია თუ არა?—გაიმეორა „ჩიორამ".

სოფო ისევ სდუმდა და მთრთოლვარე ხელით ხელცახოცს უფრო დაბლა იწევდა.

— ხალხო, მართალია, თუ არა ეს ამბავი?—წამოიძახა კინტოურად ჩაცმულმა ვასომ და წინ წამოდგა.

— მართალია, მართალი!—მოისმა აქეთ-იქიდან და ყველამ წინ წამოიწია.

— ამხანაგო ილიკო!—მიუბრუნდა ილიკოს ჩიორა.—ბრალსა გდებენ, ამ კაცს ცოლი წაართვა და ოჯახი ჩაუშალაო. მართალია თუ არა?

— ილიკომ ჩაახველა, ნერწყვი ჩაყლაპა და წაიჩურჩულა:

— არ წამირთმევია.

— ტყუის!.. როგორ არ წაგირთმევია!—მოისმა აქეთ-იქიდან და ყველანი გარს შემოეხვივნენ.

— ვასო ილიკოს წინ ამოუდგა და ყვიროდა:

— ამოდენა ხალხი პირში გიდგა და არც ეხლა ტყუები? ჰა? არც ეხლა ტყუები? მაშ ერთად არა ცხოვრობთ? ჰა? არა ცხოვრობთ?

— მერე რო ვცხოვრობთ?

— ჰო და მეც მაგას გეკითხები—მიუგო ვასომ და ხალხს მიუბრუნდა:—ხალხო! ძმებო და ამხანაგებო! დამნაშავენი გამოტყდნენ. ეხლა თქვენი საქმეა, რასაც გადაუწყვეტავთ.

ხალხში ჯერ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ერთმა წამოიძახა:

— ვირზე შევსვათ!

— ვირზე შევსვათ, ვირზე!—გაიმეორეს სხვებმაც და აჩოჩქოლდნენ.

— ქალი ვირზე შევსვათ და სადავე ილიკოს მივცეთ.—წამოიყვირა ერთმა ხუმარამ და სხვებმაც მხარი დაუჭირეს.

ყველანი შეჯგუფდნენ, აჩოჩქოლდნენ და ბრალდებულებს გარს ეხვეოდნენ.

— ხალხო!—დაიძახა ვასომ და სიჩუმის შემდეგ განაგრძო: მეც დამიგდეთ ყური. ამათი სასჯელი ჩემი საქმეა. ქმრის ღალატი ისეთი დიდი დანაშაულია, რომ ასე ადვილად საქმის გათავება არ შეიძლება. ორივენი უნდა გავატიტვლოთ და მთელი სოფელი შემოვატაროთ.

ახალგაზდებს ეს აზრი ჰკუაში დაუჯდათ.

— ეგრე იყოს, ეგრე!

— გავატიტვლოთ, გავატიტვლოთ!—მოისმა აქედ-იქიდან.

— ამას რომ სხვები დაინახავენ, ამ საქმეს აღარ ჩაიდენენ!—განაგრძო ვასომ, მაგრამ ლაპარაკი აღარ დასცალდა, ყველანი აირივნენ და საქმეს შეუდგნენ. ყველაზე მეტად ქალები ცხარობდნენ და ყვიროდნენ:

— ეგრე უნდა ქმრის მოღალატეს, ეგრე!

— გავატიტვლოთ! გავატიტვლოთ!..

— ტანისამოსი გახადეთ, ტანისამოსი!

გაფითრებული და შეშინებული ილიკო იმავე ადგილზე იდგა და ისე იყურებოდა გარშემო, თითქო არა სჯეროდა, რომ ხალხი ამ გადაწყვეტილებას შეასრულებდა.

სოფომ ხელსახოცი პირი-სახეზე ჩამოიფარა, თავი ხელებზე დაიბჯინა... მოიბუზა... აკანკალდა და აძაგძაგდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვერავინ ბედავდა სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებას. ყველანი ერთმანეთს შეჰყურებდნენ და ელოდნენ, ვინ ... პირველობას.

— ხალხო! დაიწყო ისევ ვასომ.—ეს არის ერთობის ძალა?

— გახადეთ! გახადეთ! — დაიყვირეს უცებ აქეთ-იქიდან და ყველანი სოფოსა და ილიკოს მიაწყდნენ.

ერთმა დედაკაცმა სოფოს ხელცახოცი წაგლიჯა თავიდან, მეორემ ღილები ჩამოაწყვიტა, მესამემ ქვედა ტანი ჩახადა.

ნაევრად გატიტვლებული და თმა გაწეწილი სოფო წინააღმდეგობას არ უწევდა, მხოლოდ პირისახეს იფარავდა, ტიროდა და ხმის კანკალით იხვეწებოდა:

— გენაცვალე-ეთ... თქვენი ჭირიმე-ე-ე... ნუ შემარცხვე-ე-ენთ...

პერანგის ამარა ილიკო იბრძოდა: სიმწარისაგან პირ-დალრეჯილი და გაოფლიანებული ტოკავდა, იწევდა და ყვიროდა, მაგრამ ოთხ კაცს იგი მაგრად ეჭირა.

— გამიშვი-ით... რასა შვრებით... ურვინდის-ე-ებო... გამიშვი-ი-ით...

უცებ ილიკოს ხმა ჩაუწყდა, ლონე გამოელია, გაჩერდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო მუდარა:

— ძმებოჯან... ამხანაგებო... ძმად გამიხადეთ... ერთობას მოჯამაგირეთ დაუდგები, ოღონდ ნუ იზამთ... თავს ნუ მომჭრით... ძმებოჯან... ამხანაგებო...

სოფომ შეჰკივლა და პერანგის ამარამ ჩაიკეცა.

— რასა შვრებით ხალხო, რასა შვრებით!—დაიყვირა ერთმა მოხუცმა, წრე გაარღვია და სოფოს გადაეფარა.

ყველამ უცებ თოფ-ნაკრავივით უკან დაიხია.

ერთი დედაკაცი წასწვდა სოფოს პერანგში, მაგრამ ვიღაცამ შეუტია:

— გაანებე თავი, შე ურჯულოვ, შენა!

— გაანებე თავი!—დაუყვირეს სხვებმაც და დედე კაცი მაშინვე მიიმალა.

გაფითრებული ილიკო მთრთოლვარე ხელით ბრძოლაში დაგლეჯილ პერანგის საკინძს იკრავდა და მთელი ტანით კანკალებდა. ვიღაცამ ფარაჯა გაიხადა და თითქმის მთლად გატიტვლებულ ილიკოს წამოასხა. მის გვერდით ბრძოლაში დაღლილი გლეხები იდგნენ და ოფლს იწმენდავდნენ. დედაკაცები სოფოს შემოეხვივნენ და ტანთ-აცვამდნენ.

„ჩიორა" მაღლობზე შედგა და დაიძახა:

— ხალხო! მოდი ორივეს ვაპატიოთ!

— ვაპატიოთ! ვაპატიოთ! ვაპატიოთ! —ერთხმად იგრიალა ყველამ.

— მაშ გაუმარჯოს ერთობას!

— გაუმარჯოს! გაუმარჯო-ო-ო-ო-ს!

**მ. ადამაშვილი.**

---

გატყობინებთ, რომ ნება დაურთავად სხვის საკუთრებით სარგებლობა შეუძლებელია.

— გმადლობთ, გმადლობთ! გარწმუნებთ, თქვენს გულ-კეთილობას არ დავივიწყებთ. ამასთან გატყობინებთ, რომ ბაგაში მყოფი ყრმა—მესიაა.

— როგორა ბძანეთ?

— მესია, ქვეყნიერების მხსნელი, რომელსაც ებრაელები დიდი ხანია ელიან.

— მე ეგ არ მეხება, რადგან რომაელი მოქალაქე ვარ და ებრაელთა საკითხი არ მაინტერესებს.

— კი, მაგრამ...

— მაშ, მშვიდობით... ნახვამდის...

— თქვენ კეთილი ხართ,—თავის დაკვრით ამბობს იოსები,—არ ვიცი, რით დაგიმადლოთ...

— ნუ სწუხდებით... მე უკვე მოგახსენეთ, რომ შეგიძლიანთ იმდენ ხანს დარჩეთ ფარეხში, სანამ საჭირო იქნება... (კარის ზღუდიდან) მაგრამ, ასე ვთქვათ, ნება-რთვა უნდა აგეღოთ.

—

12 წელიწადმა განვლო. პასკის დღესასწაულია.

იერუსალიმი. ბაზარი. ხალხით გატენილი ტალახიანი ქუჩა.

იოსები და მარიამი მტირალნი მოდიან; გამვლელ-გამომვლელ რაღაცას ეკითხებიან. ისინი თავს იქნევენ:

— ბავშვი? რა ხნისაა?... შავგვრემანია? ქერა?.. არ ვიცით... არ გვინახავს... თქვენ ვიღა ხართ?... შორეული?.. გეტყობათ! აქ თვალი მახვილად უნდა გეჭიროთ...

ერთი გამვლელთაგანი — პირ-რგვალი, ჭაღარ-ქეხიანი, კარგად ჩაცმული და მუცელ მორგვალებული, იერუსალიმის საკრედიტო დაწესებულებიდან გამოვიდა. იქ მან საკმაოდ ბევრი ოქრო და ვერცხლი შეიტანა შესანახად და კარგ გუნებაზეა. ეს კაცი მუციაა. ყურადღებას მიაქცევს იოსებსა და მარიამს:

— უკაცრავად, თქვენ შეწუხებული ხართ? რაღაცას ეძებთ? იქნება დაგეხმაროთ?

— ღმერთო ჩემო!—ამბობს იოსები:— ვისა ვხედავ? ბატონი მუცია ნაზიკა?!

— ეხლა მეც გიცანი, თქვენ, ასე ვთქვათ, ის ებრაელი ხართ, რომელმაც ნება დაურთველად ჩემს ფარეხში მოიკალათეთ, არა? ჰა, ჰა, ჰა!

— ბოდიშს ვითხოვთ, ბატონო ნაზიკა...

— ნუ სწუხდებით... ჰა, ჰა, ჰა! ვხუმრობ, მაგრამ ეს მითხარით—რა გაწუხებთ?

— ეჰ, ბატონო ნაზიკა, დიდი უბედურება შეგვემთხვა: ჩვენი შვილი, რომელიც მაშინ ფარეხში დაიბადა...

— იმ ფარეხში, რომელიც ნება დაურთველად დაიჭირეთ...

— დიაღ,—სთქვა დარცხვენილმა იოსებმა.

— ვწუხართ...—დაუმატა მარიამმა.

— რა სათქმელია. მე, ასე, ვთქვათ, ვხუმრობ. ჰა, ჰა, ჰა!

— იმას მოგახსენებდით—ჩვენი შვილი თვალთაგან გადაგვცდა და ველარსად გვიპოვნია. მესამე დღეა!

— ნუთუ მესამე დღეა? პოლიციაში ხომ განაცხადეთ?

— რასაკვირველია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, როგორი პოლიციაა ერუსალიმში... არც ისე მდიდრები ვართ, რომ დავქროთამოთ ..

— დიაღ, დიაღ... სამწუხაროა...

— ვიკითხეთ ნათესავებთან, ნაცნობებთან. არავის უნახავს!—ჩაურთავს მარიამი.

— მე, ასე ვთქვათ, თავისუფალი დრო მაქვს. თუ გნებავთ დაგეხმარებით შვილის მოძებნაში. იერუსალიმის პოლიციაში, ასე ვთქვათ, გავლენა მაქვს.

— გმადლობთ, როგორ შეგაწუხოთ.

— რას ამბობთ! ძველი მეგობრები, ასე ვთქვათ, ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაეხმარნენ და ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართ, თუმცა—ჰა, ჰა, ჰა,— ნება დაურთველად დაიჭირეთ ჩემი ფარეხი...

მუცია ნაზიკას დახმარებით შეიტყეს, რომ სამ დღეზე მეტია, რაც ერთ საიდუმლოებით მოცულ ბავშვს იერუსალიმის ტაძარში განცვიფრებაში მოჰყავს სწავლულნი და ღვთის მეტყველნი, რომლებთანაც ადვილად კამათობს საღვთისმეტყველო საგნებზე და სჯობნის გამოცდილ და მცოდნე კაცებს.

— ძლივს! ის არის!—შეჰკივლა მარიამმა.

— რასაკვირველია! სხვა ვინ იქნება! ის არის, ის!—დაუმატა იოსებმა.

— ერთხელ მაინც ვნახოთ ისეთი მშობლები,—სთქვა უნდობლად მუციამ.— რომელნიც თავიანთ შვილს გენიოსად ან სასწაულ-მომქმედად არა სთვლიდნენ.

არა-ჩვეულებრივი ბავშვი იერუსალიმის ტაძარში—აღმოჩნდა იესო. განცვიფრებული ხალხი უსმენდა და ჰკვირობდა, რომ ბრძნულ კითხვებს მწიგნობრებისას ადვილად სწყვეტდა და მოწინააღმდეგეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებდა. მუცია ნაზიკამ უკმაყოფილოდ თავი გაიქნია:

— რა უზრდელი ცოდნა აქვს ხანიან შედარებით! რა უდროოდ არის განვითარებული! სადღაა ბავშვის მორიდება უფროსთა ავტორიტეტის წინაშე?!

მარიამს, შვილის პოვნით აღფრთოვანებულს, მწუხარება დაავიწყდა და მან ჩვეულებრივი სათნოებით მიმართა იესოს:

— შვილო, რა გვიყავი? რად მოგვიკალ მე და მამა შენს გული მწუხარებით?

— რად მეძებდით? ნუ თუ არ იცოდით, რომ იქ უნდა ვყოფილიყავი, რაც ეკუთვნის მამა ჩემს?—სთქვა იესომ.

მარიამმა აღარაფერი სთქვა და მიბრუნდა წამოცვივნულ ცრემლების მოსაწმენდათ.

მუცია ნაზიკა აღშფოთდა.

— აი!—მიმართა მან დამსწრეთ—დასტკბით ახალ-თაობით! აი რა სიტყვა-პასუხი აქვთ ეხლანდელ შვილებს! რა დრო დაგვიდგა!

—

განვლო თვრამეტმა წელიწადმა.

პატარა ქალაქი გალილეის ზღვის პირად. ღარიბად ჩაცმული პროლეტარების ბრბო. მათ შორის ახალ-გაზდა კაცი: გამხდარი, ზაბლის ფერ თმიანი, თეთრ სამოსელში გამოწყობილი. მუცია ნაზიკა ამ დროს მახლობლად გაივლის ნაცნობ ვაჭართან, რომელთანაც ხელ-საყრელი საქმე მოაწყო.

— ვინ არის ნეტავი ეს ახალ-გაზდა?— იკითხავს მუცია.

— ეგ არის იესო ნაზარეთელი, შვილი იოსებისა და მარიამისა.—მიუგებს ვაჭარი: ეხლა ყველა მაგაზე ლაპარაკობს. მან შეჰქმნა ახალი სჯული და სასუფეველზე ჰქადაგობს.

— სასუფეველზე? ეგ რა-ღა არის?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ იესოზე ყველა ერთხმად ამბობს, რომ იგი წინასწარმეტყველია და შესანიშნავი ორატორი.

— წინასწარმეტყველი? ორატორი? მაშ მიტინგი ყოფილა ეს.—გაიკვირვებს მუცია: აქ ცის ქვეშ მიტინგი ნება დართულია?

მუცია მიუახლოვდა იესოს, რომლის ხმა ჟღერდა მაღლობიდან.

სწორედ ამ დროს ვიღამაც უთხრა იესოს:

— დედა შენი და ძმანი შენი აქ არიან და ლაპარაკი უნდათ შენთან.

მთხრობელს იესომ უპასუხა:

— ვინ არის დედა ჩემი და ძმანი ჩემნი?

— ის არის, ის, მე არა ვცდები,— სთქვა მუციამ.—იგივეა, რაც იყო. ამ სიტყვებით ვიცანი!

იაკობისა და იოანეს თანხლებით იესო ზღვის პირად მიდიოდა. აი შეხვდნენ ახალგაზდას, მწუხარებით მოცულს.

— წამომყე მე!—უთხრა ახალგაზდას იესომ.

— უფალო! მომეცი ნება დავმარხო მამა.

— დეე, მკვდრები მკვდრებმავე დამარხონ და შენ-კი ნეტარება სასუფეველის იქადაგე.

— აქამდის შვილისაგან მამის დამარხვა მოვალეობა მეგონა და ეხლა-კი...—ჩაილაპარაკა ამ სიტყვებზე მუციამ,

**ვ. კორცონელი.**

(დასასრული იქნება)

# პრესსა

პარტიულ ცხოვრების განვითარებას მრავალი კარგი მხარე აქვს, მაგრამ პარტიული ინტერესი და პარტიული თავმოყვარეობა არასოდეს არ უნდა გადახდებოდეს ხოლმე იმ საზღვრებს, რომლის გადალახვა პარტიის სახელი და დიდება მიზნად ხდება, ხოლო ხალხის ინტერესები და საჭიროება კი ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად. ეს ხანგაზე შემთხვევაა პარტიული ცხოვრების, მაგრამ იგი საყვედურებლად არ მიაჩნიათ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს. მათთვის ყოველ შემთხვევაში ჯერ პარტიის სახელი არსებობს და მხოლოდ მერმე სხვა და სხვა სახალხო საჭიროება. ასეთი საჭიროება თავის პარტიის სამსახურად დაამქვიდეს სოციალ-დემოკრატიის დეპუტატებმა სათათბიროში ამნისტიის საკითხის ნიადაგზე. თითქოს იმ მიზით, რომ სხვამ არავინ დაასწროს, სათათბიროს დარბაზში ამნისტია ყველაზე უწინ მათ წამოაყენეს, რადესაც ხალხოპინმა თავისი დეკლარაცია წაიკითხა. მართალია, სოციალ-დემოკრატებმა იცოდნენ, რომ მარტოოდენ ამნისტიის წამოყენებით კიდევ საქმე გაკეთება არ იყო, რადგან სათათბიროს ვერც ერთი საკითხი ვერ გაარჩევს, თუ 30 დეპუტატისაგან ხელმოწერილი მესადრე კანონ-პროექტი არ იქნებოდა წარდგენილი, მაგრამ ისინი ხრულიად დაკმაყოფილდნენ თავის განზრახვით და ამნისტიის კანონ-პროექტის შემუშავებისთვის თავი აღარ შეუწუხებიათ. პრესსამ თავის დროზე მიუთითა რუსეთის აღნიშნა და დამჩნდა კიდევ სოციალ-დემოკრატებისაგან ამნისტიის საკითხის გადაჭრაზე პარტიულ განდიდების მახადად.

მაგრამ რაც იყო—იყო. იმას აღარ უბრუნდებით. ეხლა იმას გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, რომ «ლახვარა» უფრო ხელახლა ამტია განდიდება საქართველოს და პრესსამ: სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მშვენივრად მოიქცა, რომ ამნისტიის საკითხი სათათბიროში გახსნეს ამნისტიის საკითხი სათათბიროში აღძრა.

ყველაფერი გვაბრიყვება «ლახვრის» პუბლიცისტებმა, მაგრამ ტყუილია, რომ მარტო მათ არ უნდა იკადრეთ ხოლმე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გახამება. საკითხის აღძვრა პარლამენტში და უმრავლეს წამლებში ერთი და იგივე არაა. პარლამენტში საკითხი მხოლოდ მაშინაა აღძრული, როცა სათანადო კანონ-პროექტი შემუშავებულია და შეტანილია. ეამხოლ საკითხი აღძრული არაა. ამნისტიის შესახებ კი სოციალ-დემოკრატიის 64 დეპუტატს არც თავი გაუცხელებია, არც კონდა აუვარებია, არც კანონ-პროექტი შეუმუშავებია. ასეთი კანონ-პროექტი სხვა სხვა მემარცხენე ჯგუფებმა მოიტანეს, მათ ეცებნის სახელით ამნისტიის ამბავზე ლებლობა და არა სოციალ-დემოკრატებმა. თუ ამნისტიის გამო სოციალ-დემოკრატებმა დაიმახსოვრეს რამე, ეს მხოლოდ მყვირალობა და სხვა არაფერი. «ლახვარი» კი მუდმივიდავ ბრძანებს, ეხლა სხვა მემარცხენე პარტიებიც დარწმუნდნენ, რომ ამნისტიის კითხვა აუცილებლად უნდა წამოყენებულ იქნას და კანონ-პროექტიც უკვე შეიტანესო. სცრუობთ «ლახვრის» პუბლიცისტებო. «სხვა მემარცხენე პარტიებს» თქვენზე უკეთ ესმით და ესმოდათ ამნისტიის საჭიროება. მაგრამ თქვენსავით იმის გამოყენება არ ისურვეს პარტიული განდიდებისათვის და ამიტომ თქვენი დეპუტატებისავით უმიზნოდ კი არ იყვირეს, ამნისტია გვინდაო, კანონ-პროექტი შეიმუშავეს და მართლა აღძრეს კიდეც სათათბიროში საკითხი.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აპრილი.

**ეკატერინოდარი.** 27 აპრილს ღამე კავკაზსკია სტანიცაში დააპატიმრეს ადმინისტრატიულად გადასახლებული ვოროზიევი, რომელმაც დაპატიმრების დროს რევოლვერით დასჭრა სტანიცას ატამანის თანაშემწე ვინოგრადოვი. ამისთვის ბრბომ მას სასიკვდილოდ სცემა. ამავე დროს სტანიცაში სამგან აღმოაჩინეს ქურდობის განზრახვა. ამ შემთხვევათა გამო აღელვებულმა ხალხმა 8 სახლი დაარბია და 21 კაცი მოჰკლა. სტანიცაში გაზაკები დაიბარეს. ოლქის უფროსი და პროკურორიც მიდიან.

**რიგა.** პეტერგოლმსკის ქუჩაზე ლუდხანაში მოჰკლეს «პროვოდნიკი»-ს ქარხნის უფროსი ხელოსანი ვეინი. მკვლელი ერთი იმ სამთაგანი იყო, რომელთაც ვეინს სამუშაო სთხოვეს. მკვლელს პოლიციელი გამოუდგა, იმან კი ელისაბედის ქუჩაზე რევოლვერი დაიხალა და თავი მძიმედ დაიჭრა. ჯიბეში აღმოაჩნდა ბროშიურა სათაურით «ქუჩაში ბრძოლის ტაქტიკა».

**ვარშავა.** მარშალკოვსკის და ჩენნის ქუჩების კუთხეში ხუთმა შეიარაღებულმა კაცმა განიზრახა ბანკის კანტორის გამარცვა. ოთხი პოლიციამ დაიჭირა. სროლის დროს ორი დაიჭრა.

**ირკუტსკი.** 27 აპრილს მიწა ძლიერ იძრა.

**კიევი.** უმინის მაზრის დაბა ტალონში სახ. სათათბიროს წევრმა კირიენკომ დღესასწაულებში გლეხების მიტინგი გამართა. პოლიციამ მიტინგი გაჰფანტა. კირიენკო სასამართლოს გამომძიებელმა გასჩხრიკა და არა ლეგალური ლიტერატურა უპოვნა. კირიენკოს პასუხის გებაში აძლევენ.

**ლაგორი.** საქმის გართულების მოლოდინში მაიამირიდან ჯარი დაიბარეს. ლაგორისკენ სოფლის ბრბო დაიძრა. ისინი ჯოხებით არიან შეიარაღებულნი. ადგილობრივმა მთავრობამ დაატუსაღა საწინააღმდეგო მანიფესტაციების ორგანიზატორი პენჯაბის სამოსამართლო პალატის ვექილი. მეორე აგიტატორი მიიმალა. მათმა დაპატიმრებამ ინდუსები გააოცა.

**ტანჟერი.** მაროკკოს ჯარი, რომელსაც გერმანელი აფიცრები სწრთვნიან, გააორკეცეს და 100-მდე აიყვანეს.

29 აპრილი.

**კიევი.** შპოლიანსკის შაქრის ქარხნის კასა კამარცვეს. წაიღეს 3500 მანეთი.

**ბელგრადი.** სად. კომაროვკაში ღამე მოიპარეს 3182 მანეთი.

**კრემენჩუგი.** დნეპრმა იკლო. წყალდიდობისა გამო შეჩერებული ფაბრიკა ქარხნები ისევ ამოძრავდნენ. წყალმა მცხოვრებთ დიდი ზარალი მიუყენა.

**ლონდონი.** საღამოზე გავრიჩიდან 200 რუსი ს.-დემოკრატი მოვიდა. იათ რიცხვში 6 სახ. სათათბიროს წევრია. ერთმა სოციალ-დემოკრატმა, რომელმაც თავისს თავს რუსულ გაზეთის საგანგებო კორესპონდენტი უწოდა, განაცხადა, რომ კონგრესი ფიქრობს გაარჩიოს საკითხები სათათბიროს- და რუსეთში მომავალ საქმეთა მდგომარეობის შესახებაო.

**ლაგორი.** მთავრობის მიერ საჩქაროდ ჯარის ფეხზე დაყენებამ აჯანყებულნი მალზე დააფიქრა. მთავარ მეთაურის დაპატიმრებამ აჯანყებულნი უწინამძღვროდ დასტოვა. ჯარს ღამე თოფი ხელიდან არ გაუგდია. ქალაქში, რომელიც აჯანყების ასპარეზად გადაიქცა. მშვიდობიანობაა. ქუჩებში ჭაჭანება არ არის.

**ლეონბენი.** (შტირია). 27 აპრილს, დილის 7 საათზე, მიწა იძრა. უბედურება არა მომხდარა რა.

**დვინსკი.** მიწის მომწესრიგებელ კომისიას აზრადა აქვს შეიძინოს საგლეხო ბანკის საშუალებით ერთი დიდი და კარგად მოწყობილი მამული დვინის მაზრაში «კრეიცბურგი» ბარონ კორფისა სადაც 39,000 დესეტინა მიწაა. ამ მამულს ნაჭერ-ნაჭერად დაჰყოფენ და გლეხებს დაურიგებენ.

**ლოძი.** 27 აპრილს დილით გრომანის ძაფის სართაფმა ფაბრიკამ მუშაობა განაახლა. ყველა ძველი მუშა მიიღეს ფაბრიკა ლოკაუტში იღებდა მონაწილეობას.

**ოდესსა.** უნივერსიტეტის საბჭოს წინადადებით საექიმო ფაკულტეტის მემარჯვენე პროფესორებმა გადასწყვიტეს ნაკვირაცხოველევს განაახლონ ლექციების კითხვა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


## განცხადებანი

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

**კეფირი ო. კორონისა**

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძ.მეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის. სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—1) პატივ. **ო. კორონა.**

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში

„ბნელეთის ევოლიუცია თაგვ-ეშმაკთ რევოლიუცია“.

პ. აკოპიანი. ფასი 5 კაპ. (6—5—3)

საგაგაშვილო-თხინვალის აგარაკში

ვენახზედ

**იყიდება**

მიწები ნაწილ-ნაწილად 25-დან 60 კაპეიკამდე თითო ოთხკუთხი საჟ. ერთის წლის გადახდის ვადით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ პირველ მაისიდან კანტორაში სასახლის ქ. სათავ.-აზნაურო სახლში დ. მაჭავარიანსა და ნ. გელოვანსა დილის 11-დან 2-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. (1—1)

**შემთხვევით მალიან იაფათ იყიდება**

სხვა და სხვა ფორმის ძეგლები და სასაფლაოს ქვები. ჩვეულებრივზე 50% ნაკლებად.

სახელოსნო ს. რიჩჩისა, მიხაილოვის ქუჩა, ს ხლი № 127. (10—ხალ—8)

„გალა-პეტერ“

დედამიწაზე პირველი შეუცარიელი შოკოლადი ...




იყიდება საუკეთესო კოლონიურ და ბაკალეინის მაღაზიებში. ნარდად მყიდველებმა უნდა მიმართონ: Тифлисъ, Фрейлинская, № 7. (2—62—2)


## ანგარიშთა მდგომარეობა

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

**1 მარტის 1907 წელს.**

აქტივი (აქვს).

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა, ნაღდი ფული | | 4657 | 04 |
| II. სახელდახელო ანგარიში ქუთ. გან. აზ. დ. კ. ბანკში | | 4260 | 33 |
| III. სარგებლ. ქაღალ. | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 300,— | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. „ | 702,50 | 1002 | 50 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით | | 43694 | 50 |
| V. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და სხვა | | 990 | — |
| VI. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ. ყოფ. თანხ. იხ. გ. პას.) | | 5086 | 76 |
| VII. სესხი გაც. გირავ. | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრ. ყოფ. სარგ. „ | 160,— | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრ. ყოფ. მთავ. მიერ „ | 12005,53 | | |
| გ) შავ. ქვაზ. „ | 22354,72 | 34520 | 25 |
| VIII. კორესპონდენტ. | | | |
| ა) იმათ. ანგარ. მ. | 1590,46 | | |
| ბ) საზოგ. „ „ | 262,92 | 1853 | 38 |
| IX. გერბ. ქაღ. და თამ. | | 178 | 80 |
| X. გარდამავ. თანხა | | 1918 | 59 |
| XI. მოწყობა-გამართვა საზოგად. | | 1906 | 43 |
| XII. მოვალ. საზოგ. | | 410 | 28 |
| XIII. ხარჯი დასაბრ. | | 148 | 14 |
| XIV. ზარალი 1905 წ. | | 313 | 13 |
| XV. მიმდინარე ხარჯი | | 1073 | 8[illegible] |
| **ბალანსი.** | | **102013** | **94** |

(მართებს) პასსივი.

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რაიცა შესდგება 10% შემ. საწ. ფულით 209 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე | | 19190 | — |
| II. დასაბრ საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. | | 125 | 85 |
| III. თანხა: | | | |
| ა) სათადარიგო მ. | 385,66 | | |
| ბ) ამორტიზაც. „ | 769,53 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრ. საყ., შემდგ. 1906 წ. მოგებიდ. „ | 5119,23 | 6274 | [illegible] |
| IV. შემოტ. ფული: | | | |
| ა) სახელდ. ანგ. მ. | 30381,10 | | |
| ბ) ვადით „ | 17998,31 | | |
| გ) უვადოთ „ | 700,— | 49079 | [illegible] |
| V. განაღდ. თამას. საზოგ. მიერ ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკში | | 4710 | [illegible] |
| VI. საგანგებო სახელ. ანგარ. უზრუნველყოფილი სარგებ. ქაღალდ. | | 329 | [illegible] |
| VII. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით | | 10000 | [illegible] |
| VIII. კორესპონდენტ. | | | |
| ა) იმათის ანგ. (Loro) „ | 3571,62 | | |
| ბ) საზგ. ანგარ. (Nostro) „ | 2601,67 | 6173 | [illegible] |
| IX. გადასაგზ. შემოტ. ფული | | | |
| X. გარდამავ. თანხა | | 4278 | 50 |
| XI. სარგებელი გარდ. | | 189 | 59 |
| XII. 5% სახელ. გარ. | | — | — |
| XIII. წმინდა მოგება. 1906 წ. | | 366 | 74 |
| XIV. შემოსული სარგებელი, გამოკლებით გასულისა | | 1297 | 08 |
| **ბალანსი.** | | **102013** | **94** |

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. ი. გ. აბაშიძე**
ბუჰგალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**

დირექტორები: **თ. ვ. ჯაყელი. ა. ზ. გალუსტოვი**




# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად ალიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ.

ნარდად შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—21)